

სამედიცინო მომსახურების მოდელი კუთხის მქონე პირებისათვის

შემუშავებულია COVID 19-ის პანდემიის დროს
მიღებული გამოცდილების საფუძველზე



სამედიცინო მომსახურების მოდელი აუტიზმის მქონე პირებისათვის

აუტიზმის სპექტრის აშლილობები (შემდგომში აუტიზმი ან ასა) ეწოდება იმ მდგომარეობებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია რეციპროკული სოციალიზაციის და სოციალური კომუნიკაციის თვისებრივი ცვლილება, შეზღუდული ინტერესები, რიგიდული და განმეორებადი ქცევა, ცვლილებებისადმი რეზისტენტობა.

აუტიზმისთვის სპეციფიკური ნიშნების გარდა, შესაძლოა, გამოვლინდეს სამედიცინო, სენსორული, კოგნიტური, ენისა და მეტყველების, ემოციური და ქცევის პრობლემები. რუტინის საჭიროება, სხვა ადამიანების სურვილების, გრძნობებისა და აზრების გაგებისა და გათვალისწინების სირთულე, ძილისა და კვების დარღვევა, თვითდამაზიანებელი ან აგრესიული, რთული ქცევა, ფსიქიკური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემები, როგორცაა შფოთვა, დეპრესია, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევა და სხვა.

ზემოთჩამოთვლილის გამო, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აუტიზმის მქონე პირების საჭიროებებზე მორგებული სამედიცინო მომსახურების მოდელის შემუშავება.

აუტიზმის მქონე პირებისათვის, სამედიცინო მომსახურებაზე წვდომისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად, **სამედიცინო მომსახურების მოდელის** შემუშავებას ბიძგი COVID 19-ის პანდემიის დროს შექმნილმა განსაკუთრებულმა მდგომარეობამ მისცა. თუმცა, ვფიქრობთ, რომ მოდელი, ზოგადად, გააუმჯობესებს აუტიზმის მქონე პირების სამედიცინო მომსახურებას.

მოდელი შემუშავებულია **განათლების დამოუკიდებელ კონსულტანტთა კოლეჯის** პროექტის „**კოვიდ პანდემიის დროს აუტიზმის მქონე პირების დაცვა**“ ფარგლებში, **აუტიზმის კვლევის და ხელშეწყობის ფონდთან, საქართველოს აუტიზმის ასოციაციასთან** და კლინიკა „**პინეო სამედიცინო ეკოსისტემები**“-თან თანამშრომლობით.

მოდელი შესაბამისობაშია „**აუტიზმის გამოვლენა, დიაგნოსტიკა და მართვა**“ ეროვნული პროტოკოლთან და ეფუძნება „**აუტიზმის მქონე პირების მომსახურების სტანდარტები**“-ს ძირითად პრინციპებს.

აუტიზმის მქონე პირების სამედიცინო მომსახურება მოიცავს აუტიზმის პირველად, მეორეულ და მესამეული დონის მომსახურებების ურთიერთთანამშრომლობას და უზრუნველყოფს:

- პაციენტებთან ინდივიდუალურ და მულტიდისციპლინურ მიდგომას, გუნდის შესაბამისი სპეციალიტების ჩართვით;
- ასა-ს მქონე პირის მკურნალობასთან დაკავშირებული სპეციფიური ინფორმაციის თანმიმდევრულ და დროულ გადაცემა-გაზიარებას შესაბამის სპეციალიტებსა და უწყებებს შორის;
- სამედიცინო მომსახურების გარემოს ადაპტაციას;
- ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას, კონფიდენციალურობისა და ეთიკის დაცვით;

- მომსახურების დროის ოპტიმიზაციას, რაც გულისხმობს, მომსახურების ლოდინის და ხანგრძლივობის მაქსიმალურად შემცირება-შემჭიდროებას.

ყველა ჩამოთვლილი ასპექტი მიმართულია იქით, რომ მაქსიმალურად იქნას აცილებული რთული ქცევის პროვოცირება სამედიცინო მომსახურების განვეის დროს, რაც დაკავშირებულია პაციენტისათვის ჩვეული გარემოს, რუტინის ცვლილებასთან, მომსახურების განვეისას ლოდინის დროის ხანგრძლივობასთან, სამედიცინო პროცედურების სირთულესთან, თავად პაციენტის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხვა ბევრ ფაქტორთან და ართულებს ადექვატური სამედიცინო მომსახურების განვეას.

წამოჭრილი პრობლემების მოგვარებასა და დაავადების მართვა შესაძლებელია მხოლოდ აუტიზმის მულტიდისციპლინური გუნდის წევრების ერთობლივი ძალისხმევით, სწორედ ამიტომ, **ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა, ისევე, როგორც აუტიზმის მომსახურების ყველა სერვისი, მხოლოდ აუტიზმის გუნდის წევრების ურთიერთ-თანამშრომლობით და მათთან კოორდინირებით ხორციელდება.**

სამედიცინო მომსახურების თითოეულ დონეს, სხვადასხვა ფუნქცია და დატვირთვა აქვს. როგორც გეგმიური სამედიცინო მომსახურების, ასევე, განსაკუთრებულ პირობების შემთხვევაში. მულტიდისციპლინური გუნდების შემადგენლობაც განსხვავებულია.

დანართი №1-ზე მოცემულია სამედიცინო მომსახურების დონეების მიხედვით მულტიდისციპლინური გუნდების შემადგენლობა და მათი ფუნქციები სამედიცინო მომსახურების განვეისას (ჩვენი ვერსია). გუნდის შემადგენლობა და მათი ფუნქციონირების ხანგრძლივობა, ცვალებადია, მომსახურების დონის, ჩარევის, პაციენტის სპეციფიური საჭიროებების და სამედიცინო ჩარევის აუცილებლობის გათვალისწინებით. თითოეული გუნდის წევრის ჩართვა, სამედიცინო მომსახურების განვეისას, შესაძლებელი უნდა იყოს საჭიროებისამებრ.

სამედიცინო კლინიკებში მომსახურების განვეისას, არ არის აუცილებელი, რომ მულტიდისციპლინური გუნდის ყველა წევრი იყოს სამედიცინო კლინიკის მუდმივი თანამშრომელი, მისაღებია, მოწვეული სპეციალისტების მომსახურება საჭიროებისამებრ.



პირველი, მეორე და მესამეული სამედიცინო მომსახურების დონეები

პირველი დონის სამედიცინო მომსახურება არის სასწრაფო სამედიცინო დახმარება და ამბულატორია, რომელიც ახორციელებს:

- ✔ აუტიზმის მქონე პირის კოვიდ19-ის და თანდართული სომატური თუ ფსიქიკური დაავადებების გამოვლენას, რაც მოიცავს ტესტირებას და სხვა ლაბორატორიულ-კლინიკური კვლევებს, მისი სიმძიმის შეფასებას და საჭიროებისამებრ გადაუდებელ დახმარებას ადგილზე და /ან პაციენტის ამბულატორიულ მართვას;
- ✔ საჭიროების შემთხვევაში, იწვევს მეორე დონის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი კლინიკის მულტიგუნდის წევრებს (ქეის-მენეჯერს, ოკუპაციურ თერაპევტს და სხვ.) პაციენტის ბინაზე ამბულატორიულად მართვის ინდივიდუალური გეგმის შედგენისა და კოორდინირებული მომსახურებისათვის;
- ✔ შემდგომი სპეციფიური დახმარებისათვის გადაამისამართებს/გადაჰყავს პაციენტი სამედიცინო კლინიკებში, სადაც მესამე დონის სამედიცინო მომსახურების განწევა ხდება;
- ✔ მესამეულ და მეოთხე დონის სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო კლინიკაში გადაამისამართების შემთხვევაში ხდება სამედიცინო ისტორიის, პაციენტის შესახებ ფსიქოსომატური სპეციფიური ჩარევის შესახებ ისტორიის/ინფორმაციის სრული გაზიარება.

მეორე დონის სამედიცინო მომსახურების განწევა ხდება - აუტიზმის აბილიტაცია-რეაბილიტაციური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციებში, რომელსაც ჰყავს თავისი, მულტიდისციპლინური გუნდი: ქეის-მენეჯერი, ოკუპაციური, მეტყველების, ფიზიკური თერაპევტები, აგრეთვე, ოჯახის ექიმი/პედიატრი და საჭიროების შემთხვევაში ფსიქიტრის მოწვევის შესაძლებლობაც აქვთ. გუნდის ფუნქციები და უფლებამოსილებანი შესაბამისობაშია **აუტიზმის დიაგნოსტიკა და მართვა** ქართულ პროტოკოლთან და **აუტიზმის მქონე პირების მომსახურების სტანდარტებთან**.

მეორე დონის სამედიცინო მომსახურების ფუნქციებია:

- ✔ დაავადებისა და თანმხლები მდგომარეობების გამოვლენა;
- ✔ დაავადებით გამონვეული/გამწვავებული ფსიქიკური, ქცევითი აშლილობების მართვა, ბიოფსიქოსოციალური ჩარევის გზით ბინაზე და საჭიროების შემთხვევაში - სტაციონარში;
- ✔ მულტიდისციპლინური გუნდის მონაწილეობით, რთული ქცევის ფუნქციური შეფასება, კრიზისის პრევენცია;

- ✔ აუტიზმის მქონე პირების კოორდინირება მათი საჭიროებების, ჩარევის სახეობებისა და ფსიქოსოციალური ჩარევის ოპტიმალური გეგმის განსაზღვრა;
- ✔ სამედიცინო ჩარევის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა;
- ✔ სპეციფიური ინფორმაციის გადაცემა სამედიცინო პერსონალისათვის;
- ✔ გარემოს ადაპტაციაში და მომსახურების ლოდინის შემცირებაში დახმარება სამედიცინო მომსახურების ყველა დონეზე, შესაძლოა ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის გზითაც.

მესამე დონის სამედიცინო მომსახურება აუტიზმის მქონე პაციენტებისათვის სამედიცინო კლინიკებში მიმდინარეობს. ეს მომსახურება რეგიონული მნიშვნელობისაა. ასოცირებულია სტაციონარებთან, სადაც ხორცილდება როგორც პაციენტების მაღალტექნოლოგიური სამედიცინო კვლევა და მკურნალობა, ასევე, საჭიროების შემთხვევაში ფსიქოსოციალური ჩარევაც, მაგალითად, პაციენტის რთული ქცევის შემთხვევაში.

აუტიზმის მესამე დონის მომსახურების ძირითადი ფუნქციებია:

- ✔ კლინიკის სამედიცინო პერსონალის და მულტიდისციპლინური გუნდის სხვა წევრებთან ერთად, სამედიცინო ჩარევის ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, (ამ შემთხვევაში კოორდინირებულად მუშაობენ ფსიქოლოგი/ქეის-მენეჯერები, ოკუპაციური თერაპევტები და სხვა სპეციალისტები ოჯახის ექიმთან, ფსიქიატრთან და მედიცინის სხვა ვიწრო სპეციალისტებთან ერთად, საჭიროებიდან გამომდინარე);
- ✔ დიაგნოსტიკა, მკურნალობა, კონსულტირება და რეკომენდაციების შემუშავება;
- ✔ სამედიცინო ჩარევისათვის გარემოს შესაბამისად ადაპტაცია;
- ✔ აუტიზმის მქონე პირების ინფორმირება და სამკურნალო პროცესების კოორდინირება მათი საჭიროებების, ჩარევის სახეობებისა და ჩარევის ოპტიმალური ინტენსივობის განსაზღვრის კუთხით;
- ✔ კრიზისული სიტუაციების მართვა, როგორც ბენეფიციარის, ასევე, კომპლექსურად, როგორც თავად კლინიკის გუნდის, ასევე, საჭიროებისამებრ, მე-2 დონის მომსახურების მიმწოდებელი კლინიკის მულტიგუნდის წევრების და პარტნიორების ჩართვით.

პერსონალთან დაკავშირებული მოთხოვნები და კომპეტენციები

2.1 აუტიზმის მქონე პირებთან მომუშავე ჯანდაცვის სპეციალიტები, არიან სამედიცინო განათლების მქონე სერტიფიცირებული სპეციალისტები, რომლებიც იცნობენ **“აუტიზმის დიაგნოსტიკა და მართვა”** დამტკიცებულ ქართულ პროტოკოლს, **„აუტიზმის მომსახურების სტანდარტებს“** და **„აუტიზმის სამედიცინო მომსახურების მოდელს“**;

2.2 ფლობენ იმ სპეციფიურ ცოდნასა და გამოცდილებას აუტიზმის დიაგნოსტიკისა და მართვის კუთხით, რომელიც მოცემულია **“აუტიზმის დიაგნოსტიკა და მართვა”** - პროტოკოლის **სპეციალისტთა უფლებამოსილებებისა და კვალიფიკაციის** მოთხოვნებში;

2.3 ჯანდაცვის და სოციალური სამსახურის პერსონალი, რომელიც აწვდის სერვისს აუტიზმის მქონე პირს და მისი ოჯახის წევრებს, პარტნიორებს, მაქსიმალურად ინარჩუნებენ კლიენტის ავტონომიას;

2.4 ინარჩუნებენ ინდივიდუალური ურთიერთობების უწყვეტობას, სადაც ეს შესაძლებელია;

2.5 უზრუნველყოფენ ოჯახის, პარტნიორების და აუტიზმის მქონე ზრდასრული პირის სრულ ინფორმირებას, ჩარევის ხასიათის და მომსახურების შესახებ, შესაბამისად ენისა და ფორმატისა (მათ შორის ვიზუალური, ვერბალური და სმენითი, ადვილად წასაკითხი და სხვადასხვა ფერის და შრიფტის გათვალისწინებით);

2.6 ითვალისწინებენ კომუნიკაციის სირთულეებს, რომელიც ჩარევის პროცესში იზრდება და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ ალტერნატიულ კომუნიკაციის საშუალებებს, რომელიც გასაგებია კლიენტისათვის (საჭიროების შემთხვევაში, სასურველია უზრუნველყოფდნენ კლიენტს თარჯიმნითაც);

2.7 არიან ადვილად ცნობადი (ადვილად გამოირჩევიან, თუნდაც საიდენტიფიკაციო წარწერით ან სხვა რაიმე ნიშნით);

2.8 ძალიან გარკვევით ამცნობენ კლიენტს საკუთარი როლისა და ფუნქციის შესახებ;

2.9 მიმართავენ პიროვნებას მისთვის მისაღები ტიტულით და სახელით; შეუძლიათ კლიენტისათვის, პარტნიორებისა და მზრუნველებისათვის კლინიკური ტერმინოლოგიის ახსნა, და დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ახსნა გასაგებია მათთვის;


3.0 ყველა ჯანდაცვის და სოციალური სამსახურის სპეციალისტი, რომელიც მუშაობს ასა-ს მქონე ინდივიდებთან:

- ინფორმირებულია, წარმოდგენილი ანგარიშგების მიღმა არსებული, ასა-ს მქონე ინდივიდების ფიზიკურ დარღვევების შესახებ;

- არის განსაკუთრებით ფხიზლად, იმ ასა-ს მქონე ინდივიდების მიმართ, რომლებსაც მოსწონთ ან არ მოსწონთ არაჯანსაღი თუ ჯანსაღი საკვები, ასევე, თუ აქვთ ზოგადად აუცილებელი ფიზიკური აქტივობებისათვის თავის არიდების სურვილი;
- აძლევენ რჩევებს კლიენტს და ხელს უწყობენ მისი ჯანსაღი ცხოვრების წესს, ნებისმიერი ჰიპერ- თუ ჰიპო- სენსორულობის გათვალისწინებით; საჭიროების შემთხვევაში მიმართავენ შესაბამისი ვიწრო სპეციალისტის დახმარებას (მაგალითად, დიეტოლოგს, გასტროენტეროლოგს, სტომატოლოგს და სხვა) (აუტიზმის მომსახურების სამედიცინო სტანდარტები).

სამედიცინო ჩარევა ხორციელდება, ყოველთვის, ინდივიდუალური მიდგომით, ინდივიდუალური გეგმით

- ✓ ინდივიდუალურ სამედიცინო თერაპიულ გეგმას ადგენს მკურნალი ექიმი, მულტიდისციპლინური გუნდის სულ მცირე ერთ წევრთან და თავად ბენეფიციართან და/ან მისი კანონიერი წარმომადგენელთან ერთად.
- ✓ სამედიცინო მომსახურების ინდივიდუალური გეგმა, როგორც **ბიოფსიქოსოციალური მომსახურების ნაწილი**, მომსახურების დაწყებამდე ან მომსახურების დაწყებისთანავე დგება და საჭიროებისამებრ განიცდის მოდიფიკაციას.
- ✓ ყველა ფიზიკურ, თუ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დროებითი თუ მუდმივი პრობლემების მოგვარება, მათ შორის, სამედიცინო ჩარევების მეშვეობით, მულტიდისციპლინურ გუნდთან კოორდინირებულია, ყველა შემთხვევაში, გარდა ე.წ. მწვავე პათოლოგიების და მწვავე, კრიტიკული შემთხვევებისა, როდესაც ვერ ხერხდება მულტიგუნდის წევრებთან დაკავშირება, თუმცადა, ექიმი უთუოდ აწვდის გუნდს, წერილობით ინფორმაციას ჩატარებული სამედიცინო ჩარევის და მისი ეფექტურობის შესახებ, შემდგომი გარემოებების, რეაბილიტაცია-აბილიტაციის კურსის თუ მკურნალობის სწორად დასაგეგმად.



სხვა სამედიცინო მომსახურება:

4.1 ასეთი ტიპის სამედიცინო მომსახურება შესაძლოა იყოს გეგმიური და მწვავე-გადაუდებელი. აუტიზმის მქონე პირი იღებს მისთვის აუცილებელ სამედიცინო მომსახურებას ამბულატორიაში და /ან სტაციონარში;

4.2 აუტიზმის მქონე პირის გეგმიური ამბულატორიული მომსახურება შეიძლება ხორციელდებოდეს ჩვეულებრივ უბნის ამბულატორიაში, რომელიც აკმაყოფილებს სამედიცინო დაწესებულებების სტანდარტის ქვეპუნქტებს - ფიზიკურ გარემოსთან და მის მონყობასთან დაკავშირებით.

- გეგმიური ჩარევის დრო, მინიმუმ ერთი დღით ადრე, თანხმდება წინასწარ, მკურნალ ექიმთან, თავად პაციენტის ან მისი კანონიერი წამომადგენლის, ან მულტიგუნდის წევრის მიერ;
- ქეის-მენეჯერი ინფორმირებულია მომავალი სამედიცინო ჩარევის შესახებ და პაციენტის შესახებ საგულისხმო, გასათვალისწინებელ, სპეციფიურ ინფორმაციას, აწვდის მკურნალ ექიმს, შესაძლოა, რომ ექიმისათვის საგულისხმო ინფორმაცია მიწოდებული იქნას ოჯახის წევრის, თავად პაციენტის, ანდა სპეციალური სამედიცინო ელექტრონული /ისტორიის, ისტორიის მეშვეობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- სამედიცინო ჩარევა, ხორციელდება წინასწარ შეთანხმებულ დროს, ამით ექიმს აქვს საშუალება გარემოს შესაბამისად ადაპტაციისა და ადამიანური რესურსის სწორად მოზიდვის, დაგეგმვისათვის. ამასთან, მცირდება ლოდინის ხანგრძლივობა;
- სამედიცინო ჩარევა ხორციელდება ექიმი-სპეციალისტისა და მულტიდისციპლინური გუნდის მინიმუმ ერთ წევრთან თანამშრომლობით (გუნდის წევრია აგრეთვე, ოჯახის წევრიც);
- ჩატარებული სამედიცინო მომსახურების და მისი შედეგების შესახებ ონფორმაცია მიეწოდება ქეის-მენეჯერს, რათა სამედიცინო ჩარევის შემდგომი რეაბილიტაცია იყოს სწორად დაგეგმილი მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

4.4 **სტაციონარული მომსახურება** ხორციელდება დაწესებულებაში, რომლის ფიზიკური გარემო შესაბამისობაშია აუტიზმის მომსახურების სტრანდარტის ქვეპუნქტებთან.

- გეგმიური ჩარევის დრო, მინიმუმ ერთი დღით ადრე, თანხმდება წინასწარ, მკურნალ ექიმთან, თავად პაციენტის ან მისი კანონიერი წამომადგენლის, ან მულტიგუნდის წევრის მიერ;

- ქეის-მენეჯერი ინფორმირებულია მომავალი სამედიცინო ჩარევის შესახებ და პაციენტის შესახებ საგულისხმო, გასათვალისწინებელ, სპეციფიურ ინფორმაციას, ანვდის მკურნალ ექიმს. შესაძლოა, რომ ექიმისათვის საგულისხმო ინფორმაცია მიწოდებული იქნას ოჯახის წევრის, თავად პაციენტის, ანდა, სპეციალური სამედიცინო პასპორტის მეშვეობით, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
- უშუალოდ ჩარევა, ხორციელდება წინასწარ შეთანხმებულ დროს, ექიმს აქვს საშუალება გარემოს შესაბამისად ადაპტაციის და ადამიანური რესურსის სწორად განაწილების, ამასთან, პაციენტს არ უწევს ლოდინი;
- ჩატარებული სამედიცინო მომსახურების და მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია მიეწოდება ქეის-მენეჯერს, რათა ჩარევის შემდგომი რეაბილიტაცია სწორად იყოს დაგეგმილი მულტიდისციპლინური გუნდის მიერ.

აუტიზმის მქონე პირის სამედიცინო მომსახურების რეკომენდაციები სტაციონარული მკურნალობისას

1. მიმღები განყოფილების სამედიცინო პერსონალი იღებს შეტყობინებას აუტიზმის მქონე პირის სტაციონარში მომსახურების საჭიროების შესახებ;
2. შეტყობინება შესაძლოა იყოს როგორც პირველადი სამედიცინო რგოლის მედ-პერსონალისგან, აუტიზმის აბილიტაციის ცენტრიდან, მშობლისგან;
3. შეტყობინებასთან ერთად, პაციენტს მოჰყვება: ა) მიმღების ექიმის, პაციენტის ქეის-მენეჯერის, მშობლის, ან პირველადი ჯანდაცვის ექიმის საკონტაქტო ინფორმაცია, ბ) პირველადი გასინჯვის შედეგები, პირველადი ჯანდაცვის რგოლის ექიმისაგან, პაციენტის ამბულატორიული მკურნალობის, ან/და პირველადი დახმარების სპეციფიური საჭიროებების შესახებ, კომორბიდული დაავადებების და ქრონიკული მოხამრების წამლების შესახებ, გ) ქეის-მენეჯერის ინფორმაცია პაციენტის სპეციფიური ქცევითი, მოტორული, კვებითი თუ სენსორული დარღვევების შესახებ;
4. სასურველია, რომ მიმღებ განყოფილებას შეეძლოს ისარგებლოს ცალკე შესასვლელით, რითაც შემცირდება ჩარევის ლოდინის დრო და სხვა პაციენტებთან კონტაქტით გამოწვეული სტრესი;
5. პაციენტს მისი შესაძლებლობის ფარგლებში მიეწოდება ინფორმაცია მოსალოდნელი ჩარევის შესახებ ადაპტირებულად;

6. სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ჩხვლეტების რაოდენობა მცირდება ვენის კათეტერიზაციით;

7. ივსება სპეციალური ისტორია;

8. მიმღებში მოწვეული განყოფილების ექიმი ეცნობა პაციენტის ისტორიას მისთვის განკუთვნილ პროფილურ განყოფილებაში გადასაყვანად (დამხმარე პერსონალთან ერთად, საჭიროებისამებრ);

9. ექიმებისა და მულტიდისციპლინური გუნდის წევრთან ერთად ხდება განყოფილების პალატის გარემოს შეძლებისდაგვარად ადაპტირება;

10. პაციენტი გადადის მისთვის პროფილურ განყოფილებაში;

11. ხდება პაციენტის სპეციფიური დანიშნულების ანალიზი, დანიშნული და დასანიშნი მედიკამენტების თავსებადობის შეფასება, ქეის-მენეჯერთან ერთად-წარმოქმნილი თუ მოსალოდნელი გართულებების, რთული ქცევის პრევენცია ჩარევის ინდივიდუალური გეგმის შედგენით.

მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა

1. მკურნალობის ინდივიდუალური გეგმა დგება ექიმის მიერ, მულტიდისციპლინური გუნდის მინიმუმ ერთი წევრის მონაწილეობით;

2. გეგმაში გაწერილია: ა) მკურნალობის დანიშვნის და დასრულების სავარაუდო დრო, ბ) ქრონიკული მოხმარების მედიკამენტებით ჩატარებული მედიკამენტური მკურნალობის ეფექტურობა, გ) ჩასატარებელი მკურნალობისათვის განკუთვნილი მედიკამენტები და მათი მოხმარების ხანგრძლივობა და ინდივიდუალური თავსებადობა, გ) მოსალოდნელი შედეგები;

3. გუნდის წევრების შესაძლო მონაწილეობა (მაგალითად, გარემოს ადაპტაციის ან ქცევის მართვისათვის) და მათი ჩარევის ხანგრძლივობა (საათობრივად);

4. მკურნალობის დასრულების შემდეგ, სრული ინფორმაცია ჩარევის სახეების, პაციენტის სამედიცინო მართვის შესახებ, უნდა იქნას გაზიარებული ქეის-მენეჯერისთვის, ხოლო ასეთის არარსებობისას, ინფორმაციის გაზიარება პირველადი ჯანდაცვის ექიმისათვის. ელექტრონული ისტორიის შემთხვევაში, ინფორმაციის გაზიარების სირთულე მოიხსნება.

სამედიცინო დაწესებულებების სტანდარტები ფიზიკური გარემო, უსაფრთხოება და სანიტარიული მდგომარეობა

1.

მომსახურების მიღება უნდა ხდებოდეს ხელმისაწვდომ და უსაფრთხო გარემოში. მომსახურების მიწოდებისათვის განკუთვნილი გარემო უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:



- ✓ მომსახურების ადგილმდებარეობის, სივრცის, მორგება ბენეფიციარის ინდივიდუალურ საჭიროებებზე შესაბამისი განათების, გარემოს ფერის და ხმაურის ხარისხის გათვალისწინებით;
- ✓ როცა სამედიცინო ჩარევა ხდება სამედიცინო დაწესებულებაში, ამ დაწესებულების სამუშაო ფართი შეესაბამება სამედიცინო დაწესებულებების ზოგად სტანდარტებს, თუმცადა, ითვალისწინებს რა აუტიზმის მქონე პირის ინდივიდუალურ თავისებურებებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მას ცალკე პალატით, ან ცალკე კაბინეტით. იგივე სივრცეში, დამატებით, შესაძლებელია იმყოფებოდეს დამხმარე პერსონალიც;
- ✓ გამოყოფილია ბენეფიციარების პირადი ნივთების შენახვისთვის განკუთვნილი დაცული ადგილი, სტაციონარის შემთხვევაში ცალკე აბაზანა და ტუალეტი;
- ✓ შენობაში გამოყოფილია სპეციალური ადგილი, სადაც შესაძლებელია ბენეფიციართან ინდივიდუალური თერაპიული მუშაობა, კონფიდენციალური გასაუბრება და კონსულტირება. ოთახი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (გლუვკუთხეებიანი მყარი ავეჯით, არაბასრი საგნებით, ფანჯრები საიმედოდ უნდა იხურებოდეს, სადენები უსაფროდ უნდა იყოს კედელში, ჩამრთველებს ჰქონდეს სპეციალური დამცავი საცმები).

2.

უსაფრთხოება და სანიტარიული მდგომარეობა.

ბენეფიციარები მომსახურებას იღებენ უსაფრთხო გარემოში, სადაც დაცულია სანიტარიული ნორმები.



- ✓ შენობაში, ტელეფონის არსებობა აუცილებელ პირობაა. ტელეფონთან, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საგანგებო შემთხვევებისთვის საჭირო ნომრები: სახანძრო, პოლიცია, სამაშველო სამსახური, გაზის, ელექტროენერჯის, წყლისა და კანალიზაციის მომსახურების რაიონული განყოფილებების ნომრები;
- ✓ მედიკამენტები ხელმისაწვდომია მომსახურების მხოლოდ იმ უფლებამოსილი პირისათვის, რომელიც პასუხისმგებელია ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე;

- ✓ ინფექციურ დაავადებებზე ხორციელდება კონტროლი; ინფექციური დაავადებების თავიდან ასაცილებლად შემუშავებულია კონკრეტული წესები, რომელიც მოცემულია შინაგანაწესში;
- ✓ საკვები ადეკვატურად არის შენახული – მალფუჭებადი საკვები ინახება მაცივარში;
- ✓ იატაკი და კიბის საფეხურები კარგ მდგომარეობაშია. იატაკისა და კიბის საფე-ხურების საფარი არ სრიალებს. კიბეებს აქვს მოაჯირი;
- ✓ ბენეფიციართა პირადი ნივთები უსაფრთხოდ ინახება, დაცულია მათი ხელ-შეუხებლობა;
- ✓ დღის განმავლობაში მთელ ტერიტორიაზე შენარჩუნებულია სისუფთავე;
- ✓ თითოეულ ტუალეტში არის ჰიგიენის შესაბამისი ნივთები;
- ✓ ნაგავი ინახება დახურულ კონტეინერში, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ადგილას; ნაგვის გატანა ხდება, სულ მცირე, დღეში ერთხელ.



დანართი №1

განსაკუთრებული მდგომარეობის დროს აუტიზმის პირველი, მეორეული და მესამეული დონის სამედიცინო მომსახურების მულტიდისციპლინური გუნდები და მათი ფუნქციები

სამედიცინო მომსახურების დონეები	გუნდის დასახელება	გუნდის ფუნქციები და მოქმედების არეალი	გუნდის შემადგენლობა
<p>პირველი დონის სამედიცინო მომსახურება:</p> <p>ა) ამბულატორია, ბ) სასწრაფო დახმარების ბიგადა</p>	<p>1. გუნდი სასწრაფო დახმარებისათვის,</p> <p>2. დიაგნოსტიკის და ამბულატორიული მართვისთვის</p>	<p>ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება</p> <p>ტესტირება</p> <p>ფსიქოსოციალური და სპეციფიური ანამნეზის შეგროვება</p> <p>გადაუდებელი დახმარების განევა</p> <p>სამედიცინო მართვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა ამბულატორიული მართვისათვის.</p> <p>საჭიროების შემთხვევაში მესამე და მეოთხე დონის კლინიკაში გადამისამართება კვლევებისა და მკურნალობისათვის</p>	<p>ჯანდაცვის სპეციალისტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პედიატრი/ოჯახის ექიმი • ფსიქიატრი; <p>სხვა ვინჩრო ექიმი-სპეციალისტები: (ნევროლოგი, კარდიოლოგი, პულმონოლოგი და სხვ.)</p> <ul style="list-style-type: none"> • ექთანი • დამხმარე პერსონალი • მშობელი/მეურვე/ოჯახის ნევრი <p>გუნდის სხვა სპეციალისტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფსიქოლოგი • ენისა და მეტყველების თერაპევტი • ოკუპაციური თერაპევტი • ფიზიკური თერაპევტი
<p>მეორე დონის სპეციფიკური სამედიცინო მომსახურების სპეციალისტები</p>	<p>მულტიდისციპლინური გუნდი ფსიქო-სოციალური და სამედიცინო მართვისათვის</p>	<p>პირველი და მესამე დონის კლინიკის სპეციალისტებისათვის სპეციფიური ინფორმაციის მინოდება-გადაცემა</p> <p>მკურნალობის ინდივიდუალური გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა</p> <p>გარემოს ადაპტაცია</p> <p>გუნდის წევრების კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფად</p>	<ul style="list-style-type: none"> • ოჯახისექიმი/პედიატ / ფსიქიატრი, • ფსიქოლოგი - ქვის-მენეჯერი, • ენისა და მეტყველების თერაპევტი, • ოკუპაციური თერაპევტი, • ფიზიკური თერაპევტი, • სპეციალური მასწავლებელი

სამედიცინო მომსახურების დონეები	გუნდის დასახელება	გუნდის ფუნქციები და მოქმედების არეალი	გუნდის შემადგენლობა
<p>აუტიზმის მესამე დონის სამედიცინო მომსახურება და ამ მომსახურებისათვის კლინიკების შემადგენლობა და ფუნქციები</p>	<p>აუტიზმის გუნდი შემთხვევების სტაციონარული მართვისთვის</p>	<p>პაციენტის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობის მულტიპროფილური შეფასება</p> <p>გუნდის წევრებთან ერთად სამედიცინო მართვის ინდივიდუალური გეგმის შედგენა</p> <p>მაღალტექნოლოგიური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევა და ჩარევა</p> <p>მკურნალობის შედეგების და რეკომენდაციების გადაცემა-გაზიარება გუნდის წევრების და პირველი დონის კლინიკებისათვის</p>	<p>ჯანდაცვის სპეციალისტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • პედიატრი/ოჯახის ექიმი • ფსიქიატრი, • ანესთეზიოლოგი, <p>სხვა ვიწრო სპეციალობის ექიმები,</p> <ul style="list-style-type: none"> • ექთანი, • დამხმარე პერსონალი • მშობელი/მეურვე /ოჯახის წევრი, <p>მულტიგუნდის სხვა სპეციალიტები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების თერაპევტი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიკური თერაპევტი

შენიშვნა: სტაციონარში პაციენტის სამედიცინო მომსახურებაში ჩაერთვება კლინიკის მუდმივი პეხსონალი, ექიმი-სპეციალისტების კონსულტაცია და მოწვევა ხედმისაწვდომია, ნებისმიერ საჭირო შემთხვევაში, ისე, რომ ახ შეიქმნას სიხორე კლინიკის გუნდის ფუნქციონირებისათვის. ის ახასამედიცინო პეხსონალი, ხომედიც ახ ახის კლინიკის მუდმივი თანამშრომელი მხოლოდ საჭიხორების შემთხვევაში ეხორება მომსახურებაში.

